# შირაქი

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (9.786)

24 ივნისი–1 ივლისი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა




გვ.8

## შირაქის ქარსაცავ ზოლში ნერგები დაირგო

## ქართული ცხვრის დასაცავად კანონი იცვლება



გვ.3



გვ.5

## მეუფე დიმიტრი: „აზერბაიჯანმა ბოდიში ოფიციალურად მოიხადა“



გვ. 6

## მთავარია, შრომა არ გეზარებოდეს

## გამგებლის ინიციატივა – „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება

გვ.3





გვ.2

## კარგი პედაგოგი — ცოდნის ინვესტიცია



## ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია...

გვ.4

## თამაზ (ქერემა) ლაზვიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად



გვ.7

C M Y K

# კლასიკური მუსიკის მოსასმენად...

უკვე წლებია, ტრადიციულად სახელოვნებო სკოლის გალა-კონცერტებს ვესწრები სასწავლო წლის დასასრულს სკოლის საკონცერტო დარბაზში. 16 ივნისს ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა წლის შემაჯამებელი, აკადემიური



კონცერტი გაიმართა, სადაც მონაწილეობას მაღალი აკადემიური შედეგების მქონე მოსწავლეები იღებდნენ.

გალა-კონცერტი შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნების სკოლის დირექტორმა დალი ელისაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და სცენა პატარა შემსრულებლებს დაუთმო. ღონისძიება მიჰყავდათ სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს თეკლა გიგოლაშვილსა და აბრაამ ახალაურს.

კონცერტი ულამაზესი მიუზიკლით -„პეპლები და ბავშვები“გახსნეს მეორე კლასის მოსწავლეებმა. (პედ.მარიკა პირზადოვა, კონცერტმეისტერი ნინო სვანიძე), ამის შემდეგ სცენა პირველ და მეორე კლასელთა ანსამბლს დაეთმო მუჯირის „ქება საქართველოს“ შესასრულებლად. (პედ. ნინო მანჯაფარაშვილი)

კონცერტზე ერთმანეთს სცვლიდნენ ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე შესრულებული კლასიკური ნაწარმოებები, რომლებსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და შესრულების მაღალი დონით ეკიდებოდნენ მოსწავლეები- ელიზავეტა ცქიტიშვილი, გური გოგაშვილი, ირაკლი საბიაშვილი, გიორგი და ნიკოლოზ გველუკაშვილები,ნინო ალულიშვილი, ლიზი ზურაშვილი, მარიამ ყოჩიაშვილი, ელენე ღვინიაშვილი, ნიკოლოზ პაპაშვილი, ნათია ჯანაშვილი, ანა ჩუთლაშვილი, კატო გვენეტაძე, კაროლინა ავაქიანი, ანა ჩუთლაშვილი, თეკლა გიგოლაშვილი, აბრაამ ახალაური და მარიამ ჯანაშვილი(ზემო მაჩხაანიდან). მათ თავიანთი პედაგოგების ნინო სვანიძის, მარიკა პირზადოვას, ნინო მანჯაფარაშვილის, მარიამ კიკილაშვილის, თამილა ნადირაშვილის, თამარ კიკილაშვილის, დალი ხუციშვილის, ოლღა მუჩიაშვილის,ნინო ლაპიაშვილის, ნინო ალადაშვილის, მანანა მაჭარაშვილის, ნინო ნიკვაშვილის , ლია ხაჩიაშვილის და ნინო მგელიაშვილის მათთან გაწეულ ურთულეს შრომას ფასი



დაადეს და მაყურებელთა მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წელს, აპრილის თვეში მოსწავლეებმა ნინო ალულიშვილმა და ლიზი ზურაშვილმა (პედ. ლია ხაჩიაშვილი) მონაწილეობა მიიღეს თბილისში, კლასიკური მუსიკის კონკურსზე- „გზა ხელოვნებისაკენ“, სადაც დაიმსახურეს საპატიო სიგელი და მოიპოვეს გალა-კონცერტზე მონაწილეობის უფლება.

კონცერტის დასასრულს მაყურებლისთვის სასიმოვნო სიურპრიზი ჰქონდათ შემონახული სკოლის პედაგოგებს, ჯერ აზარაშვილის „განდაგანა“ შეგვისრულეს ანსამბლში დალი ხუციშვილმა და ნინო ნიკვაშვილმა, შემდეგ სკოლის პედაგოგთა ანსამბლმა ლილიკო ნემსაძის „მზემ თბილისელად გამაჩინაო“ (კონცერტმეისტერი დალი ელისაშვილი) გვიმღერეს და მაყურებელთა დიდი ოვაციები გამოიწვიეს. როგორც მსმენელი, ვფიქრობ, რომ წლევანდელ კონცერტზე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები უფრო მრავლად იყო წარმოდგენილი, რაც ძალიან სასიამოვნო იყო.

ხალხით სავსე დარბაზის უმრავლესობა მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი და გემოვნებიანი მსმენელი გახლდათ.

ელზა ხარაშვილი

# კარგი პედაგოგი — ცოდნის ინვესტიცია

იყო კარგი მასწავლებელი, ნიშნავს გქონდეს საკუთარი პროფესიის მყარი ცოდნა, იყო გულწრფელი მოსწავლეებთან, შეგეძლოს მათთან საერთო ენის გამონახვა, გქონდეს განვითარებისა და თვითსრულყოფის უნარი. რადგან პედაგოგის პირად გავლენას მოსწავლეებზე ვერანაირი პროგრამა ვერ ჩაანაცვლებს და მასწავლებელი სწავლების პროცესს პიროვნულ ანაბეჭდს ყოველთვის ასვამს.

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარი სწორედაც ამ ნიშნით შევარჩიეთ. პედაგოგი, რომელსაც არამარტო კარგად ესმის საკუთარი მოსწავლეების, არამედ კარგად სცნობს მათ შესაძლებლობებს და თავს არ ზოგავს, მათი რესურსის მაქსიმუმი წარმოაჩენინოს თითოეულ მათგანს. მე დღეს სამუსიკო სკოლის პედაგოგ დალი ხუციშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი დალი ჩემი შუათანა ვაჟის ფორტეპიანოს მასწავლებელია, ამის გამო უკან ვერ დავიხევდი მასზე სტატიის დაწერაზე, რადგან ის აგრეთვე სხვა ასეულობით მოსწავლის პედაგოგი იყო 30 წლის მუშაობის პერიოდში.

პირველად მაშინ გავოცდი და დალი მასწავლებელთან ინტერვიუს სურვილი მაშინ გამიჩნდა, როდესაც ბავშვს დამატებითი მეცადინეობისთვის დღეში ორჯერ იბარებდა, 6 ნაწარმოები გაატანინა გამოცდაზე და ეს იმ ფონზე, როდესაც ბავშვს მუსიკალური ნიჭი აქვს და ამდენი მეცადინეობები ალბათ არც სჭირდებოდა. შეუძლებელია, ასეთი პედაგოგი ხალხს ახლოს არ გააცნო, ვისაც არ უნდა ასწავლიდეს ის, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ იმდენად თავმდაბალია, ძლივს დავითანხმე და ახლა, ვინც არ იცნობდით, მინდა, ეს თავის პროფესიასა და მოსწავლეებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი თქვენც გაგაცნოთ, ჩვენო ერთგულო მკითხველო.

**მინი დოსიე** - დალი ხუციშვილი დაიბადა დედოფლისწყაროში და დაამთავრა N1 საჯარო სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო ზაქარია ფალიაშვილის N2 სამუსიკო სასწავლებელში საფორტეპიანო განხრით. მისი დამთავრებისთანავე დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და უკვე 30 წელია, სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს პედაგოგია, მას აგრეთვე დამთავრებული აქვს ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტი. ჰყავს ერთი ქალიშვილი-თამარ ქუმსიაშვილი, რომელმაც ჯერ ოქროს მედალზე დაამთავრა N1 საჯარო სკოლა, შემდეგ წითელ დიპლომზე თბილისის ივ ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი(საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი), ხოლო უფასო მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ ბერლინშიც დაამთავრა მაგისტრატურა წითელ დიპლომზე, ამჟამად თამარი მუშაობს თბილისის ერთ-ერთ გერმანულ კომპანიაში და უნივერსიტეტში ადმინისტრაციის ხელმძღვანელად.

**- ქ-ნო დალი, რა როლი აკისრია მუსიკას თქვენს ცხოვრებაში?**

- მუსიკა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ის არა მხოლოდ ჩემს პროფესიას ქმნის, არამედ ჩემს ყოველდღიურობას ხდის მრავალფეროვანს და ადვილად ასატანს. მუსიკა გრძნობებისა და განცდების გამოხატვის უნიკალური საშუალებაა. კლასიკურ მუსიკას ადამიანის ფსიქიკასა და ემოციურ მდგომარეობაზე ზემოქმედების მეტი მექანიზმი გააჩნია.

**- როდის გადაწყვიტეთ პირველად, რომ მუსიკა უნდა ყოფილიყო თქვენი პროფესია, ის უნდა გამხდარიყო თქვენი ცხოვრების თანამგზავრი?**

- მუსიკის ნიჭი ბავშვობიდანვე აღმომაჩნდა, თუმცა, ძალიან მინდოდა ექიმობა, მაგრამ მუსიკამ გადაწონა. უკვე მეხუთე კლასიდან სახლში მეცადინეობის დროს ოთახში კარს ვკეტავდი და ვაწყობდი გაკვეთილებს, თითქოს მოსწავლეებს ვამეცადინებდი და ეს სცენარი ძალიან მომწონდა.

**-როგორ უთავსებთ ერთმანეთს ოჯახს და პროფესიას?**

-პროფესიის სიყვარულმა ბევრი შემაძლებინა. ოჯახში მოხუცი მშობლები მყავს, მათ შორის ავადმყოფი დედა,მაგრამ პროფესიისა და ჩემი მოსწავლეების სიყვარულმა ბევრი გადამატანინა.

**-როგორც ჩვენი საზოგადოების აქიურ წევრს, რა მოგწონთ და რას შეცვლიდით ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ყოფაში?**

-თუ შესაძლებელია, ამ კითხვის პასუხში სახელოვნობო სკოლის ბედსა და მუსიკალური ცხოვრების დღევანდელ მდგომარეობას შევეხები. სამწუხაროა, რომ, თუნდაც ჩვენს რაიონში, ბოლო წლებში კლასიკური მუსიკის მიმართულებით სწავლის გაგრძელების სურვილს სულ უფრო ნაკლები ახალგაზრდა გამოხატავს. შესაძლოა, მალე დადგეს პერიოდი, როცა რაიონში მუსიკის სფეროს პროფესიონალები აღარ ეყოლება. ეს კი, ცხადია, კულტურულ ცხოვრებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. კარგი იქნება , სახელმწიფომ სახელოვნებო სკოლების განვითარებას ხელი უფრო მეტად შეუწყოს და იზრუნოს იმაზე, რომ პედაგოგებს თუნდაც საარსებო მინიმუმს ქვემოთ არ ჰქონდეთ ხელფასი. გვსურს, გაწეული შრომა სათა-



ნადოდ დაგვიფასდეს, მუდმივად ენთუზიაზმით მუშაობა ძალიან ძნელია.

**-რას ნიშნავს თქვენთვის თითოეული თქვენი მოსწავლე, ვთქვათ, ერთი კონკრეტული ანა ჩიტიშვილი ან ნებისმიერი სხვა, რის მიხედვით ანსხვავებთ მათ ერთმანეთისგან და გიწევთ თუ არა თითოეულ მათგანთან პერსონალური მიდგომა?**

-თითოეული ჩემი მოსწავლე შვილივით მიყვარს და ვფიქრობ სულ მათზე. როცა შიათ, ვაჭმევ, როცა ფული სჭირდებათ(ვთქვათ დედიკოს წამლისთვის), ფულიც მიმიცია მათთვის. ისინი ჩემთვის ყველაფერს ნიშნავენ. ზოგს მოფერება უხდება,ზოგს სიმკაცრე, თითოეულს ინდივიდუალური მიდგომა უნდა, თუმცა, ყოველთვის ვცდილობ, მასწავლებლის მძიმე და საპასუხისმგებლო ტვირთი ღირსეულად ვატარო.

**-თქვენი დიდი ოცნება პროფესიული კუთხით, თუნდაც მოსწავლეებთან დაკავშირებით?**

-პროფესიული კუთხით ჩემი ოცნებაა ბევრი კარგი და ნიჭიერი მოსწავლე მყავდეს, რომ მივაღებინო კონკურსებში მონაწილეობა, ჩავატარო კლასის კონცერტი, დაფასდნენ ნიჭიერი, თუნდაც ნაკლებად მუსიკალური , მაგრამ ბეჯითი და პასუხისმგებლიანი მოსწავლეები და თავისთავად, ჩემი, როგორც მასწავლებლის შრომა.

**-წელს, აპრილში, ჩვენს გაზეთს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა, რა მოგწონთ და რას შეცვლიდით მასში, რას გვისურვებდით?**

-მომწონს თქვენი გაზეთის ფორმატი,მნიშვნელოვანია ის, რომ გაზეთი „შირაქი“.წლების მანძილზე რაიონში არსებულ უამრავ საჭირბოროტო საკითხს ობიექტურად აშუქებს და მკითხველს აკადემიურად, სრულფასოვნად გადასცემს.

ვუსურვებ თქვენს გაზეთს განვითარებას, მეტ კრიტიკას, ნაყოფიერ წელს და უამრავ საინტერესო რესპოდენტს. ყველას ერთად და თითოეულს ცალცალკე გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს პროფესიულ და პირად ცხოვრებაში.



ელზა ხარაშვილი

# გამგებლის ინიციატივა – „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება

გამგებლის ინიციატივა - ,,ერთი დღე სოფელში“ გრძელდება. სოფელ ოზაანის შემდგომ, 19 ივნისს, გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ მირზაანის მაცხოვრებლებს შეხვდა. მან პირადად მოისმინა ის პრობლემები და საკითხები, რომლებიც მათ სოფელში აწუხებთ. ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივებს სოფელში არსებული პრობლემების უმოკლეს ვადაში მოგვარებას დაპირდა.

გამგებლის წამოწყებულ ინიციატივაში - „ერთი დღე სოფელში“ სიახლე შევიდა. ამის შემდეგ, იგი სოფლების მოსახლეობას შეხვდება ,,საქართველოს წითელი ჯვრის“ დედოფლისწყაროს ფილიალის ექიმებთან ერთად, რომლებიც მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევებს ჩაუტარებენ, კერძოდ: ექოსკოპიურ, კარდიოლოგიურ გამოკვლევებს, სისხლის საერთო ანალიზს. მოსახლეობას ჩაუტარდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის დიაგნოსტირება და მიეცემა შესაბამისი დანიშნულებები.

შეგახსენებთ, რომ გამგებლის ეს ინიციატივა გულისხმობს გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად კვირაში ერთი დღის ხალხთან გატარებას და მათგან პირადად მოსმენას ყველა იმ საჭირბოროტო საკითხებისა, რაც აწუხებთ.

იმ დღესვე გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფლის ბაგა-ბაღს ეწვია, თანამშრომლებს გაესაუბრა, ბავშვები მოინახულა და შენობა დაათვალიერა.



# ქართული ცხვრის დასაცავად კანონი იცვლება

***ქართულ ცხვარში უცხო ქვეყნიდან შემოყვანილი ცხვრის შერევა მკაცრად გაკონტროლდება. ამ კანონზე მსჯელობა მას შემდეგ დაიწყეს, როდესაც რამდენიმე კანონდარღვევა გამოაშკარავდა და მეზობელი რეგიონებიდან იაფად შემოყვანილი ცხოველები, როგორც ქართული, ისე გაჰყავდათ ექსპორტზე. პრემიერ-მინისტრის განცხადებას კანონის გამკაცრებასთან დაკავშირებით, დადებითად აფასებენ სპეციალისტები, მთავრობის მხარდაჭერა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.***

ქართულ ცხვარში უცხო ქვეყნიდან შემოყვანილი ცხვრის შერევა მკაცრად გაკონტროლდება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, კანონში შესატანი ცვლილებების თანახმად, ამოქმედდება რეგულაციები, რათა ქართულ ცხვარში უცხო ქვეყნიდან შემოყვანილი ცხვრის შერევა არ მოხდეს.

ლევან დავითაშვილის განცხადებით, მთავრობას სხდომაზე „სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების კანონპროექტი წარადგინეს.

**„საკითხი უკავშირდება კარანტინის წესების გამკაცრებას. სამწუხაროდ, იყო პრაქტიკა, როდესაც ხდებოდა საქართველოში უცხო ქვეყნიდან (ძირითადად, მეზობელი ქვეყნებიდან) ცხვრის შემოყვანა, ზოგჯერ კი ქართულ ცხვარში შერევაც. ეს კი ვეტერინარიული თვალსაზრისით, რისკის შემცველია. კარანტინის წესების დარღვევა საკმაოდ მკაცრად დაისჯება. შესაბამისად, გამოირიცხება შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნიდან შემოყვანილი ცხვარი ქართულს შეერევა და საქართველოდან გავა ექსპორტზე იმიტომ, რომ საქართველოს განსაკუთრებით მაღალი ნდობა აქვს ვეტერინარიული თვალსაზრისით. ჩვენს ცხვარს ასევე აქვს ხარისხობრივად საკმაოდ კარგი თვისებები.**

მაქსიმალურად უნდა მოვახერხოთ საკუთარი ინდუსტრიის დაცვა. მეცხვარეთა, ფერმერთა ინტერესები გავითვალისწინოთ და, შესაბამისად, იმ ბაზრებზე წვდომა, რომელიც ბოლო წლებში გაუჩნდათ ჩვენი მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად. ეს ცვლილებები ამას უზრუნველყოფს და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია მეცხვარეობის სექტორის განვითარებისთვის“, - განაცხადა მინისტრმა.

მეცხვარეები უცხო ქვეყნიდან პირუტყვის შემოყვანაზე წლებია, საუბრობენ. პრობლემა მოგვარების ნაცვლად უფრო გამწვავდა. ბოლო პერიოდში პირუტყვი შემოჰყავდათ არა მარტო სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, არამედ რუსეთიდან და უკრაინიდანაც კი.

ბათუმის პორტში, არც თუ იშვიათად, დგანან სპეციალური გემები, რითაც ცხვარი გადაჰყავთ. ამ მარშრუტით სარგებლობენ სამეზობლო ქვეყნებიდან ცხვრის გადაყვანის დროსაც. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ქართული ცხვრისადმი ინტერესი მაღალია და ეს, ძირითადად, უკავშირდება იმ ვეტერინარულ ღონისძიებებს, რასაც სახელმწიფო ატარებს:

„ქვეყნისადმი ნდობამ, მეცხოველეობის პროდუქტებისადმი ინტერესი არა მარტო არაბეთის, არამედ ევროპის ქვეყნების მხრიდანაც გაზარდა, რაზეც მეტყველებს ქართული მატყლის (ასევე თაფლის)დაშვება ევროპულ ბაზარზე“.

**მიუხედავად ამისა, ქართველი მეცხვარეების პრობლემები მოუგვარებელი რჩება. გრიგოლ ბექურაიძე ახმეტაში, სოფელ ალვანში ცხოვრობს. ფერმერი ამბობს, რომ თუ სიტუაცია არ გამოსწორდა ახმეტაში, არც თუშური ცხვარი იქნება და არც მეცხვარე, ვინაიდან მათ ქონებას „ბანკი წაიღებს“: „ვისაც ცხვარი ჰყავს, ყველას ბანკის ვალი აქვს, ცხვარი კი არ იყიდება. რაც ახმეტაში ცხვარია, დიდიან-პატარიანად რომ გაყიდო, ბანკის ვალებს არ ეყოფა... ჩვენამდე არაბი მყიდველი ვერ აღწევს, არ უშვებენ. ჩვენამდე მოდის მეოთხე, მეხუთე კაცი... არადა, მე რაც ვიცი, არაბეთში 700 დოლარიც კი ღირს ერთი ცხვარი. 2-3 წლის წინ 100 დოლარად ვყიდიდით ცხვარს, შარშან, შემოდგომაზე, 130 ლარადაც კი ვერ გავყიდეთ“.**

„ძირითადი საკითხები სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას სცილდება, თუმცა მეცხვარეთა ასოციაციას სამინისტრო გვერდში უდგას. საკმაოდ რთული პრობლემებია. მუშაობს ეკონომიკის სამინისტრო მეცხვარეთა ასოციაციის ჩართულობით, რომ ეს პრობლემა ეტაპობრივად მაინც აღმოიფხვრას“, — ამბობენ სამინისტროში.

ალსანიშნავია, რომ ასოციაციის ინიციატივით ორი წლის წინ დაიწყო მუშაობა მეცხვარეობის სტრატეგიის შემუშავებაზე. თუმცა, მეცხვარეების თქმით, ამ კუთხით არაფერი გაკეთებულა. „დოკუმენტის სამუშაო ვერსია ასოციაციის ჩართულობით მზადაა და ამით განისაზღვრება ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზებიც“.



ბექა გონაშვილი, რომელსაც საკუთარი კომპანია („ჯორჯიან ლაივსტოკ ექსპორტი“) აქვს და ცხვარიც ჰყავს, ამბობს, რომ არის კომპანიები, რომლებსაც ცხვარი სომხეთიდან შემოჰყავთ და აქედან გაჰყავთ, როგორც ქართული, რაც ქართული ბაზრის საერთო პრობლემაა:

**„შარშან სომხეთიდან საქართველოს გავლით ექსპორტირებული იქნა 40 ათასი სული ცხვარი, შარშანწინ — 70 ათასი. ამჯერად, თითქოს შეჩერებულია, თუმცა მაინც ახერხებს ზოგიერთი შემოყვანას. წელს რუსეთიდანაც კი შემოიყვანეს და გაიყვანეს, როგორც ქართული ცხვარი. არადა, ქართულ ცხვარს, როგორც ბრენდს, ისედაც ბევრი პრობლემა აქვს, ჯერ ჩვენ სახელი გვაქვს დასამკვიდრებელი, რასაც ასეთი მაქინაციები ძალიან ვნებს“.**

ბექა გონაშვილი ამბობს, რომ ცხვარი დღეს 100-150-180 ლარიც ღირს. მან ბოლოს ორი რეისით ცხვარი კატარში გააგზავნა. უფრო ადრე კი, საუდის არაბეთში შეექმნა ცხვრის გასაღების პრობლემა: „ჩვენსას არავინ ყიდულობდა. სომხური ცხვარი განსხვავდება ქართულისგან, თუმცა ძალიან ჰგავს არაბულ ცხვარს. ამით სარგებლობენ — იქაური ავასის ჯიშის ცხვარი იქ თუ ღირს, ვთქვათ, 400 დოლარი, აქედან შეყვანილ სომხურ ცხვარს ყიდიან 250 დოლარად. დაახლოებით ასეთი სხვაობაა“.

ქართველი მეცხვარეების თქმით, საქართველოდან იმდენი ცხვარი (მათ შორის სომხური, რომელიც სომხეთში ქართულთან შედარებით გაცილებით იაფია) შეიყვანეს იორდანიაში, რომ ამ ქვეყნის ფერმერებმა ქართული ცხვრის იმპორტის აკრძალვა მოითხოვეს. „შარშან, დაახლოებით ოქტომბერ-ნოემბრიდან იორდანიაში ცხვარი ვეღარ შეგვყავს“, — ამბობს ბექა გონაშვილი.

ფაქტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც ადასტურებენ და აცხადებენ, რომ იორდანიის ბაზრის ჩაკეტვის ერთადერთი მიზეზი იქაური ფერმერების მოთხოვნა იყო.

ქართველი მეცხვარეები ამბობენ და სამინისტროშიც ადასტურებენ, რომ არაბეთი და სხვა ქვეყნები სომხურ ცხვარს არ იღებენ, რადგან სერტიფიკატს (ცნობას ცხვრის ჯანმრთელობის შესახებ) ნაკლებად ენდობიან.

„მომავალში საქართველოდან გაგრძელდება როგორც ქართული, ასევე თუნდაც სომხური ცხვრის ექსპორტი, თუმცა წარმოშობის სერტიფიკატში აუცილებლად ჩაიწერება, რომ არის ქართული, სომხური ან რუსული წარმოშობის. ჯანმრთელობის სერტიფიკატი კი იქნება ქართული, ვინაიდან ენდობიან... რაც შეეხება სომხურ ცხვარს, ის კონკურენციაში არ მოდის ქართულ ცხვართან. შარშან სომხეთში დაფიქსირდა დაავადება თურქული. შესაბამისად, ვიდრე სომხეთი არ ჩაატარებს სრულ ვაქცინაციას და არ გვექნება ოფიციალური მომართვა, შეზღუდული იქნება შემოყვანა“, — აცხადებენ სამინისტროში.

ცხვარი აღარ გადის საქართველოდან აზერბაიჯანში, ვინაიდან იქ ცხვარი გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე აქედან შეყვანილი. ქართველი მეცხვარეები იმასაც არ გამორიცხავენ, რომ ექსპორტიორები ცხვარს იაფად აზერბაიჯანიდან შემოიყვანენ და როგორც ქართულს, ისე გაიყვანენ არაბეთში, როგორც ადრე სომხური ცხვარი გაჰყავდათ.

ერთადერთი, რისთვისაც სახელმწიფოსადმი მადლიერები არიან, მეცხვარეები პირუტყვის ვაქცინაციას ასახელებენ, რასაც სახელმწიფო უფასოდ და დროულად ახორციელებს. უსაფრთხოებასთან ერთად ქართული ცხვრის უპირატესობა მისი საგემოვნო თვისებებიც ყოფილა. მეცხვარეები ამტკიცებენ, რომ ქართული [თუშური] ცხვრის ხორცი განსხვავებული და უკეთესია გემოთიც და ფერითაც.

„არაბებს, ვისაც ვიცნობ და ვისაც გასინჯული აქვს ქართული ცხვრის ხორცი, უფრო მოსწონთ გემოთი. ამასთან, ქართული ცხვარი უფრო კომპაქტურია, პატარა და სარეალიზაციოდ არის კარგი“, — ამბობს ბექა გონაშვილი.

მისივე თქმით, ლოჯისტიკა-ბაზარი-ტრანსპორტირების საკითხები თავისუფალი ეკონომიკის პირობებში ბიზნესმა უნდა მოაგვაროს: „თუმცა, არც ისეთი შემოსავლიანი დარგია, რომ წავიდეს ბიზნესმენი და საკუთარი თვითმფრინავი ან გემი იყიდოს. ამ ტრანსპორტს ვქირაობთ. ბათუმში ცხვარი ტრაილერებით ჩაგვყავს. გემზე როცა დაიტვირთება, გადამზიდავია პასუხისმგებელი ყველაფერზე. თვითმფრინავით ერთ რეისზე 1000-2700 ცხვრის გადაყვანა შეიძლება, გემით კი — 5 ათასი და მეტი. მინახავს გემი, რომელსაც 120 ათასი სულის გადაყვანა შეუძლია. სპეციალური გემებია და გაცილებით იაფი, თუმცა არც თვითმფრინავია ძვირი დღეს, საწვავის ფასებიდან გამომდინარე“.

მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი ამბობს, რომ ასეთ დროს, პირველ რიგში, დაავადებების გავრცელების საშიშროება იქმნება.

**„მთავრობა ძალიან დიდ ფულს ხარჯავს ვაქცინაციაში, რომ ჩვენს ქვეყანაში საშიში დაავადებები არ გავრცელდეს, მაგრამ რა გამოდის? - ერთი ხელით პირუტყვს ვიცავთ, კარგ საქმეს ვაკეთებთ და მეორე ხელით ამავე საქმეს ძალიან დიდ საფრთხეს ვუქმნით. ზოგ-ზოგიერთები იმასაც ამტკიცებენ, რომ სომხეთიდან საქართველოში სანაშენე პირუტყვი შემოდის, მაგრამ თუ ვინმეს სანაშენე პირუტყვის შემოყვანა უნდა, ბარემ ევროპიდან შემოიყვანოს. მე კარგად ვიცი, რომ სომხებს თვითონ არა ჰყავთ წესიერი საქონელი“,** - განაცხადა გონაშვილმა.

მისი თქმით, ქართულ საქონელს მსოფლიოში ენდობიან, კარგი რეპუტაცია აქვს და მეზობელი ქვეყნებიც სარგებლობენ ამ სახელით.

„მაგალითად, იორდანია არაფრით არ იღებს სომხურ ცხვარს, რომლის იმიჯი არაბულ ქვეყნებში ძალიან შელახულია. ამის მიზეზი გაყალბებული დოკუმენტებია, რის გამოც სომხეთს არაკეთილსაიმედოდ მიიჩნევენ. საქართველო კი ვეტერინარული თვალსაზრისით საიმედო ქვეყნად არის აღიარებული და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. საყურადღებოა ისიც, რომ რეექსპორტი ადგილობრივი, ქართული პროდუქციის რეალიზაციასაც ხელს უშლის. ჩვენ კი ამ მხრივ სერიოზული უპირატესობა გვაქვს, რადგან ბევრი ქვეყანა მიიჩნევს, რომ ქართული პროდუქცია საიმედოა და პატივს გვცემს“, – აღნიშნა ბექა გონაშვილმა და დასძინა, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის ინიციატივა მისასალმებელია და რაც შეიძლება მალე უნდა ამოქმედდეს.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# მე რომ ჩემს ტანჯვას მოგიყვე, ერთ დღეს ვერ მოვრჩები



***თინა ბებოს ერთხელ მაინც თუ გამოელაპარაკებით, მიხვდებით, რომ საკმაოდ საინტერესო ადამიანთან მოხვდით. ის თავისი გონიერებით და კარგი ძარღვიანი საუბრით ამჯერადაც მაოცებს. თავის დროზე ომახიანი, ხმალამოღებული მთიელი მრავალჭირნახული ქალი, ასაკშიც აოცებს გარშემომყოფთ. მის ჭაღარას და ცხოვრების გამოცდილებას უბანში სხვა ფასი აქვს, ასეთივე ფასი აქვს მის რჩევას, მოვლენის შეფასებას... ქუჩაში სკამზე ხელსაქმის გარეშე არ დაჯდება, ხელში მუდამ საქსოვი უჭირავს და მისი ხელები ქარხანასავით მუშაობს. უსაქმურობა ჭირივით სძულს, ისე რა გამაჩერებსო, -ამბობს. მარტში 85 წლის გახდება, მართალია ახლა ორი ჯოხით ძლივს დადის, მაგრამ გულთან ერთად ხელიც და ფეხიც კვლავ ერჩის, რომ საქმე აკეთოს. მოაგროვებს თავის ნახელსაქმნარს და მერე ბაზარში გინდაც კაპიკებში, მაგრამ მაინც ვინმე გადამყიდველს ჩააბარებს. „უქმად ჯდომას, უქმად შრომა სჯობიაო“-ამბობს,- ადამიანი ახალგაზრდობიდან თუ შრომასა და გარჯას მიეჩვია, შემდეგ მას რომც დაუშალო, ვერაფერს გახდები, ის უსაქმური არანაირად აღარ დარჩებაო. რა არ გადახდენია თინა ბებოს თავს, ახალგაზრდობაც მეტად ჯაფიანი ჰქონდა და სიმწარეც ბევრი უნახავს. მიუხედავად ამისა, ის არ გაბოროტდა და ადამიანები მაინც უყვარს, მათი მოკითხვა არ ეზარება. ცოტათი ჯავრიანად და გაბრაზებით საუბრობს, თითქოს რამეს გედავება და მისი რამე გმართებსო, მაგრამ ეს მისი მთის ბუნებიდან მოდის. სინამდვილეში ის ისეთივე კაცთმოყვარეა, როგორც ბევრი ჩვენგანი. მიყვარს თინა ბებოსთან საუბარი, მისი მთის კილოს მოსმენა, მისი გულწრფელობა და სიალალე, ამიტომაც ხშირად ვეკითხები თავის ყოფას, ისიც მპასუხობს. სულ პირველად რომ გამოველეპარაკე, ის ამბავი მომიყვა, თუ როგორ გაუჩნდა პირველი პირმშო მთაში ერთ მეტრ თოვლში საავადმყოფომდე მისასვლელ გზაზე და როგორ გაეყინა ახალშობილი სიცივისგენ გზაშივე. პირველი გულის მოკვლა თინა ბებომ მაშინ იგემა. ალბათ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის მრავალჭირნახული ქალის ფიქრები და მოსაზრებები ძველ და ახალ ცხოვრებაზე, ამიტომაც მისი საუბარი სტრიქონებად ვაქციე და თქვენგაგიზიარეთ. თინა არაბულის საუბრის სტილი მთლიანად დაცულია.***

-ჩემ ცხოვრება ძალიან ცუდ იყვის შვილო, შაუძლოს ცხოვრება ყველაისა ცუდი?! მე რომ ჩემს ტანჯვას მოგიყვე, ერთ დღეს ვერ მოვრჩ. მთაში იმ სიშორეზე ტვირთს ვეზიდიდი, სამ კილომეტრზე ზურგით შეშა მომქონდა ყოველდღე, ხან დღეში რამდენჯერმე. კოლექტივობა იყო, თივა არ გვაწერდის, თივა კოლექტივს მიჰქონდა, მარტო ყანებს რასაც ვმკიდით, ჩალაი იყო ჩვენი, იმას ვაჭმევდით საქონელს და ტყის წვერსა ვტეხამდით(ხეების ზედა ტოტებს) და იმას ვაჭმევდით ჩვენ სახლის საქონელსა. ახალ წლის დღეი გასულ მაისამდე სულ ტყეში ვიჯექ, არც ჩვენ შარვლები გვაქო, არც ჩულქები, სად იყო მაშინ ეგენი, ფეხები ტიტვლები დაგვქონდა ზამთარშიც, რომ მივიდით სახლში, ფეხებით სულ სისხლით დაბასრულ ვიყავთ, რომ ჩავვარდებოდი იმ თოვლში ტოტებით დაღადრულ, სულ მეწვებოდა. ორ მეტრა თოვლები იყო ჩვენთან, ბევრი წვალებაი ვნახე, უთვალავ.

**- როდის შექმენით ოჯახი და აქეთ როგორ მოხვდით თინა ბებო, დედოფლისწყაროში რამ განაპირობა თქვენი ჩამოსვლა?**

- რა მახსომ, როდის გავთხოვდი, ჩემ ბედსა სოფელში შავხვდი, რძლად ნათხოვი რაცა გვყვანდა, იქ ვიყავი და ეგიც იქ იყო,ხოდა მერე მოვიდეს, მამიტაცეს, ქისტების სოფელში ვიყვენით ერთ წელ. ერთი წლის მერე წამოველთ.

**-თქვენი მშობლიური სოფელი რომელი იყო?**

- ჩემ სამშობლო ფასანაურიდან მარჯვნივ შაუხვევ და 25 კილომეტრი არი ჩვენამდე, სულ წვერში ვცხოვრობდით, აესე მთებ მოდიოდა წვერებზფერდა, მარტო ცხვარი დადიოდა, ბაკურხევი ერქვა იმ სოფელსა. როცა გავთხოვ, პირველად ერთ წელს ქისტებში ვიყვენით, მერე წამოვედით ყაზბეგის რაიონში, სოფლები იყო იქ, ართხმო და ჯუთა. თინა ხო იცი, თინა იქიდან იყო, ზეით ხევსურების უბანში კიდე ცხოვრობენ კაკოი, გელაი, დათოი, მინდიაი, სულ იქაურები იყვენ.

**- აქეთ რატომ წამოხვედით?**

- გამაასახლეს, აღარავინ აღარ იყვის იქ და მაგიტომ.

**- დღევანდელი თქვენი ყოფა როგორია, როგორ ცხოვრობთ, რა არის თქვენი საფიქრალი.**

- აბა როგორ ვცხოვრობ, ბეჩაურად, საჭმელის გაკეთება რომ მინდოდეს, ძლივს ავდგები, ძლივს შევალ სასადილოში, რომ საჭმელ გავაკეთო.

**- მაგალითად რა საჭმელს იმზადებთ ხოლმე?**

- ხან სუპს მოვხარშავ, ხან ერბოკვერცხსა გავაკეთებ, ხან რასა, ხან რასა, რაც ადვილად გაკეთდების.

**- ხელსაქმით და ქსოვით ნაშოვნი ფულით რას იძენთ ხოლმე, გყავთ წიწილა?**

-აღარ შემიძლია, შვილო. ყველა გავყიდეთ, აბა მე რიღას საქონლის მომვლელი ვარ, ორი ჯოხით ძლივს დავდივარ. მარტში გამიხდების 85 წელი.

**- მრავალჭირნახული ქალი ხართ და დღევანდელი ცხოვრების თქვენეული შეფასება როგორია?**

- (გაბრაზებით) ეგ არ ვიცი. მაგდენ არ მესმის, არც მინდ მესმოდეს, ჩვენთან სწავლა არ იყო, ერთხელ მოვი მასწავლებელ, ბიჭ იყვ, ახალგაზრდა, სამ თვეს იყვ იქა, იმ თოვლში ვინ გასძლებდა, წავიდა. მერე მოვი კიდევ ქალი, გამოგზავნიან, ის ცოტა ხან იყო ზაფხულში, სექტემბერში რო დაზამთრდა, წავიდა ისევ, მემრე მოვიდ მაქსიმა, სადაურ იყო არ ვიცი...ისიც წავიდ, იქ ვინ გასძლებდის.

**- ტელევიზორს არ უყურებთ ხოლმე, არც რადიოს უსმენთ, რომ ქვეყნის ამბები გაიგოთ?**

- არა,საერთოდ არა, ეგ ძალია შამეჯავრა, რომ დავბერდი, შვილიც რომ მკვდარი მყავ, ვეღარ ამიტანავ მე ისა, ზოგს აწვალებენ, ზოგს კვლენ და მე ის ვეღარ ამიტანავ, შვილო.

**-თინა ბებო, თქვენი აზრით, ეხლა უფრო კარგი ცხოვრებაა, თუ მაშინ, თქვენს ახალგაზრდობაში?**

- ჰმ, ეხლა, რა თქმა უნდა, ადვილ ცხოვრებაია, კაბა რომ არ გქონავ, გახვალ მეორეჯერადს იყიდი, ჩაიცმევ, ჩვენ კიდევ , სულ ქსოვაი და სულ კერვაი, იქნებ ტელევიზორში გენახოს, სულ ხელსაქმეი გვქო, სულ კერვაი, სუ რო ვერ ვიძინებდით, არ გვეძინა, ძალიან ვიტანჯებოდით,ჩასაცმელი რო გვქონიყო სულ კერვასა და ქსოვაში ვიყვენით.

**- ძაფი საიდან მოგქონდათ?**

- მატყლისას ვჩეჩდით ვართევდით, ვართევდით, ყდებ იყო ვძახავდით და ვქსოვდით ყდებზე.

**- თქვენი შვილები და შვილიშვილები სად არიან, როგორ ცხოვრობენ?**

- აბა ვინ მყავ. მარტო ლევან მყავ. ბიჭი რომ მომიკვდა რუსეთში, ლევანი დარჩა მისგან. გოგო რო გათხოვდა, ერთ ბიჭი ჰყვანდ, იმის ქმარ თავის ნათლიდედა შაიყვარა, ჯერ შვილ მოუნათლა, მერე ცოლად წაიყვანა, გეეყარა თავის ცოლსა, ჩემს გოგოსა და ის ნათლიდედა შეირთო. ის შვილი რაც ქმრისგან დარჩა ჩემ გოგოს, ზარდ, ზარდ, ზარდ, ძალიან ყოჩაღ ძალიან კარგ, ძალიან კარგ სამსახურში, თელავის პოლიციაში მუშაობდა, იქნებ გაგიგიათ, არკადი იმერლიშვილი, 23 წლის კაი, კაი ბიჭი და თავჩამომხრჩვალ იპოვნეს ბიჭი. გაუბედურებელ ჩემ გოგო თურქეთშია ეხლა სამუშაოდ წასული. აქ რიღათ ირჩინოს თავი, ან რაიღა უნდა აქ, რაიღა დარჩენია.

**- აბა როგორიღა იქნება ეხლა თქვენი ყოფა...**

- მწარე, მწარე შვილო. აღარც მედარდება ქვეყანაზე რა ხდება....

**- თქვენი აზრით დღევანდელი ჩვენი თაობა როგორი გაიზრდება, რა საჭირო იმისთვის, რომ აღარ მოხვდეს მკვლელობები, ურთიერთქიშპობა, სიავე, რა გვეშლება ადამიანებს?**

- რა ვიც, აბა, თაობაი დღედადღე იცვლების. იმას ის მასწონს, იმას ის არ მასწონს, ბარი საერთოდ არ მიყვარს, აქ ხალხი მეტად მოცლილია, მეტად ჭორიკანეები არიან. საქმე არ უყვარ ხალხსა, შრომა ეზარებათ, არც შვილებს ასწავლიან შრომასა, თავადაც რომ იშრომონ და შვილებიც პატარაობიდან შრომას მიაჩვიონ, სიცუდე აღარ მახდებოდა. ჩვენ დროს სულ ხელსაქმე იყო, სულ უნდა გვეკეთებინა, არ გვეძინა, ჭორიკანობისთვინა სად გვეცალა. გვინდოდა გვეძინა და ამის დრო არ გვქონდა. ძალიან ვიტანჯებოდით. ტანსაცმელი არ იშოვებოდა, ტანსაცმელი რომ ჩაგვეცვა და თბილად ვყოფილიყავით, მთელ ღამეებს ვათენებდით, რომ შეგვეკერა და მოგვექსოვა.

**- პენსია გყოფნით საჭმელზე?**

- აბა რა ძალა აქვ, 20 ლარ წავიღებ და ველარ გავიწვდენ ხოლმე, ვიყიდ რაღაცას, სახლში რომ მოვიტან, ვიტყვ,- აბა, რა მოვიტან, რაში დავხარჯე ოც ლარ-მეთქი. ჭამა ხომ გვინდოდა, კაციც რომ ცოცხალი იყო?! ეხლა, კაც რომ მოკვდა, დაკრძალვაში გვეკმარ ფულ სულ და ორმოც რომ გადავიხადეთ, გონებ ვალი აქ ეხლა ჩემ შვილიშვილსა, ვეღარ გვეკმა. მთაში იყვ მარტო დაკრძალვებ, არც ბევრ ხალხ, არც ზეკუსკებ, ბრინჯს მოხარშევდნენ, საქონს,- მოზვერს დაჰკლავდენ, ძლოხასა ხბოსა, ცხვარსა. ხორცი პური და ყველი, ეგ იყო. კიდევ ერბო სასხავიწს ვეძახდით მასა, მეტ არაფერსა. აქ კიდევ ზაკუსკებო, სალათებიო.

**- ბავშვობას თუ გაიხსენებთ, მთის ტრადიციებს კიდევ...**

- სამ ძმან იყვეს ჩემ მამა-დედ, აექ იგეთ დიდი ბულა ძროხა არცსად იქნების, რო მთაში ხარებ იყვეს, დიდები, დიდები ძრიან. ამ ხარს დაჰკლევდეს დიდ და ოთხ სულს კიდევ წვრილფეხს, ვაცი, ყვაჩი, ბერწ ცხვარი, მსუქანს, მთაში ბალახ იყო ეგეთი, რომ რას იტყვი, იმ ლეშს გამააჭრიდნენ, ჩაამარილებდნენ, მიწის ქოთნები გვქონდა, იმ გვერდებ ორ ხარისაი და ოთფეხ წვრილისაი, დაამარილებდეს დიდ ვარცლ იყო იმაში, სამ დღე, მერე ამაიღებდეს, ფურნა იყო, პურს ფურნაში ვაცხოვდით, იმაში ჩააწყობდნენ და გაახმობდენ, სუ წითლა ღუოდა, მთელ ზაფხულა და ზამთარ გვყოფნიდა, ჩვენთვი კაი დრო იყო, კოლექტივობა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ხალხ, ეგეთი მშრომელი და ეგეთი კაი ადგილში ვცხოვრობდით რომ მეტი არ იქნება, მაგრამ გაგვაკულაკებდეს, კოლექტივ ყელს გვჭრიდა, ვმუშაობდით, მაგრამ მათთვის ვმუშაობდით, კოლექტივს მიჰქონდა თივაი, თუნდა გყვანიყო ცხვარ, თუნდა არ, მატყლიც ცხვარზე ორი კილო უნდა ჩაგებარებინა, თუ არ გყავი ცხვარი, უნდა გეყიდა. ქათამ რომ არ გყვანიყო, კვერხ უნდა ჩაგებარებინა თვეში 60 ცალ. სამ კილომეტრზე დავიდოდით, დილით ჩავიდოდით ხრამით, იქნებოდა ერთი ორ კილომეტრი, დავდიოდი ხრამში, ცხვრის საწველებში, იქ ცხვარ უნდა მოგვეწველა კოლექტივისა. აი, ფრჩხილისხელა რა არის, რომ ჩვენ არაფერ არ მოგვცემდნენ. ასეთი წვალებაი მაქვ ნანახი.

**-იმ დროსაც ხომ მოვესწარით თინა ბებო, რომ ჩვენ ჩვენი საკუთარის ყოლა შეგვიძლია და ჩვენი საქონლის პატრონნი ჩვენ ვართ და არავინ გვართმევს, მაგრამ კმაყოფილნი მაინც არ ვართ, მაინც ვერ მოვეწიეთ წელგამართულ, კარგ ცხოვრებას, რაში მდგომარეობს ეს?- გლეხი კაცის ყოფა ყოველთვის მძიმეა! რომ გესწავლათ ,იქნება ასეთი რთული ცხოვრებაც არ გამოგევლოთ, ამხელა ჯაფით არ დაღლილიყავით.**

-მართალი ხარ, ძროხები მყვის აქ ბარშიც, იცი შენ, ყველ ბაზარში ავიტანდ, ორ ლარ თუ ვინმ მამცემდა ყველში, მიხაროდის. ერბოიც გვქო, კარაქიც გვქო, მაწონიც გვქო, მაგრამ ბოლოს ვეღარ შევიძელი, სამ ძროხა გავყიდეთ 780 მანეთად, დაგიჯერებია? არ ქონ მაშინ ფასი, ეხლა ერთ ძროხას 2000 -1000 ლარად გაყიდი.... სწავლა კარგი იქნებოდა, რომ ყოფილიყო მთაში სკოლა, ან ვინმე მასწავლებელი, მაგრამ ვინც მოვიდის, გამოიქცის, თანაც სულ შრომაში ვიყავით გათენებიდან- დაღამებამდე, ახალწლიდან-ახალწლამდის, არ კი გვეცალა შვილო, არ კი გვეცალა და როსღა ვისწავლიდით?!

**-თქვენი ხელსაქმით შექმნილ ლამაზ წინდებს თუ ყიდით ფასში? ვიცი რომ ბავშვების კაბებსაც ქსოვდით ხოლმე...**

-დაფასება არ აქვს, მქონდა მოქსოვილ კაბებიც, ჩავაბარე თბილისში. არ კი იყიდების შვილო, არ იყიდების, არავის უნდ, ფასს არ იძლევ არსით, კაპიკებში უნდათ, ან ჩუქება, ისე არავის უნდ. ქალაქში კარგად იბარებენ, მაგრამ ქალაქში როგორღა იქნების ჩემი წასვლა, ჩვენ ბაზარში წავე ამას წინ და გზა ვეღარ გამოვიგენი. ბოლოს ჩვენი მეზობელ ნანა დავინახე და ნანას გამოვყე სახლისკე. ქალაქს ვინ წამიღებს ჩემ წინდებსა?!

ცხოვრება წავა და წამოვა, მიგვიყვანს მოხუცებულობამდე ყველას, ვისაც უფალი მოგვცემს საშუალებას, რომ ეს პერიოდიც ვიგემოთ და ყველას სურვილია, დაგვაფასონ ჩვენც. ყველა შრომისმოყვარე ადამიანი უნდა დაფასდეს, მოსამსახურეობაში წლებგალეულიც და თინა ბებოსნაირი მრავალშრომადღეგამოვლილიც. არ დავივიწყოთ ისინი და მოვეფეროთ მოხუცებს ხშირად!

ლალი მეხრიშვილი

# ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია...

***მიშა თეთვაძე დედოფლისწყაროელია. ის პაპის მოსახელეა. მას ბავშვობიდან იტაცებს სპორტი. როდესაც წამოიზარდა, სპორტის საყვარელი სახეობაც აირჩია- ძალოსნობა. რამდენიმე წელია, მისი ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და მანაც მეტი პასუხისმგებლობით მოკიდა სპორტს ხელი. სამი წელია, რაც სპორტსკოლაში ვარჯიშობს და უკვე სერიოზული განაცხადიც გააკეთა- ჭაბუკთა შორის საქართველოს პირველობაზე გაიმარჯვა და ტურნირის ჩემპიონის წოდებასაც დაეუფლა. მისი გეგმები შორს მიმავალია და როგორც თავად ამბობს, მხოლოდ საქართველოს არ დასჯერდება.***

„ჩემი პირველი მწვრთნელი ზვიად სამუკაშვილი იყო, სწორედ მან შემაყვარა სპორტის ეს სახეობა და მიბიძგა, წარმატებული კარიერა გამეკეთებინა. მართალია, ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღემდე ვარ შეყვარებული სპორტზე. სკოლის დამთავრების შემდეგ უფრო აქტიურად დავიწყე ვარჯიში და გარკვეულ შედეგსაც მივაღწიე. ჩემი ახლანდელი მწვრთნელი ზურაბ ანთაურია. ის არა მხოლოდ მასწავლებელია, არამედ ჩემი საუკეთესო მეგობარიცაა“.

**-მიშო, როგორ გგონია, ფიზიკური სიჯანსაღის გარდა, რას აძლევს სპორტი ახალგაზრდობას?**

-სპორტი საუკეთესო საშუალებაა, დააკავოს ახალგაზრდა, მოარიდოს ის ქუჩას და არ იფიქროს მოზარდმა იმაზე, თუ როგორ გამოიყენოს თავისუფალი დრო...ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი ფიზიკურად ლამაზი და ჯანმრთელი იყოს. ხომ გაგიგონიათ, ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო...

**- როგორია შენი მიზნები?**

-რა თქმა უნდა, ჩემი სურვილია, ბევრი ვივარჯიშო და შედეგიც გავაუმჯობესო. როგორც ყველა სპორტსმენი, არც მე ვიქნები ორიგინალური და გეტყვით, რომ ჩემი მიზანია, საქართველოს სახელი მის ფარგლებს გარეთ გავიტანო და ქვეყანასთან ერთად ვასახელო ჩემი მშობლიური დედოფლისწყაროც.

წარმატებები და ოცნებების ასრულება ვუსურვოთ 18 წლის მიშა თეთვაძეს, რომლის სტარტიც იძლევა იმის იმედს, რომ მისი სპორტული კარიერა შთამბეჭდავი იქნება.



# მეუფე დიმიტრი: „აზერბაიჯანმა ბოდიში ოფიციალურად მოიხადა“

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა გაფართოებული შეხვედრა გამართა, სადაც ქართული მხარე და ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სხვა საკითხებთან ერთად სხდომაზე იმსჯელეს ქურმუხის ტაძარში რამდენჯერმე დაფიქსირებულ ვანდალურ ფაქტებზე, რომელის შესახებაც გაზეთი „შირაქი“ დეტალურად წინა ნომერში იუწყებოდა. მეუფე დიმიტრი კაპანაძე ბაქოში ვიზიტის შედეგებზე საუბრობს და ამბობს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აზერბაიჯანის სამართალდამცავმა უწყებებმა გამოძიება უკვე დაიწყეს. მისი თქმით, ამ საკითხზე აზერბაიჯანის რელიგიის კომიტეტმა საქართველოს ელჩთან შეხვედრაც გამართა. ამჯერად, მეუფე დიმიტრი კაპანაძე პრობლემას ამოწურულად მიიჩნევს და ამბობს, რომ მიიღეს პირობა, რომ ეს მიდგომა აღმოიფხვრება.

ადგილობრივები კი ბოლო ხანს ქურმუხის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცველების გახშირებულ პატრულირებაზე მიანიშნებენ და ამბობენ, რომ აზერბაიჯანის პოლიცია ტაძართან მიმსვლელ ნებისმიერ მსურველს ამოწმებს და ამჯერად უკვე მობილური ტელეფონების შეტანასაც უკრძალავს. იქიდან გამოსვლისას კი ტელეფონებს და ფოტო აპარატებს საგანგებოდ უმოწმებენ. ჰერები ხაზს უსვამენ, რომ კონტროლი მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს საპატრიარქომ განცხადება გაავრცელა და მეზობელ ქვეყანას რეაგირება მოსთხოვა.

**მეუფე დიმიტრი კაპანაძე**: „თავად ეს ფაქტი ყოვლად აღმაშფოთებელია, რადგან ადამიანის რელიგიურ გრძნობებზე თამაში ყოვლად დაუშვებელია. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ როგორც კი საქართველოს საპატრიარქოს მიმართვა გავრცელდა, აზერბაიჯანული მხრიდან დაუყოვნებლივ მოჰყვა რეაქცია. დაგვიკავშირდნენ და მაშინვე წაშალეს ეს კლიპი.

**— შეხვედრის გამართვამდე, თავდაპირველად ვისთან გქონდათ კომუნიკაცია, კონკრეტულად ვინ დაგიკავშირდათ აზერბაიჯანიდან?**

— აზერბაიჯანში რელიგიებთან ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტი მოქმედებს, მისი ხელმძღვანელები დაგვიკავშირდნენ და აღინიშნა, რომ უმაღლესი სასულიერო წარმომადგენლები და თანამდებობის პირები ჩაერივნენ ამ საკითხში. მათი მიდგომა იყო, რომ ეს არის კერძო ინიციატივა და არ გამოხატავს სახელმწიფოს პოზიციას. რა თქმა უნდა, მიმაჩნია, რომ ეს იყო კერძო ინიციატივა და ცოტა რთულია, ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მოვთხოვოთ პასუხი ადამიანების კონკრეტულ ქმედებებზე. მთავარი ისაა, რომ, როგორც კი ვაცნობეთ და მომხდარის საქმის კურსში ჩავაყენეთ, ოპერატიული რეაგირება იყო. ჩავთვალოთ, რომ ეს პრობლემა უკვე ამოწურული და მოგვარებულია.

**— რაც შეეხება ბაქოში ვიზიტს, რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა ეს შეხვედრა?**

— სამშაბათს ქალაქ ბაქოში გაიმართა გაფართოებული შეხვედრა. რელიგიის კომიტეტი შეხვდა რელიგიების წარმომადგენლებს. ეს ტრადიციული შეხვედრაა, წელიწადში ორჯერ იმართება და სხვადასხვა პრობლემურ საკითხებს განიხილავენ. აქამდეც რამდენჯერმე ვიმყოფებოდი ბაქოში, ასეთ შეხვედრაზე. ამჯერად შეხვედრის მნიშვნელოვანი მიღწევა ის იყო, რომ კიდევ ერთხელ ოფიციალურად მოიხადეს ბოდიში, აღინიშნა, რომ პრევენციისთვის ყველა ღონეს იხმარენ და დაიდო პირობა, სამომავლოდ აღარ განმეორდება ამგვარი ფაქტები. დაფიქსირდა მზაობა, რომ პრევენციისთვის ღონისძიებები გატარდეს.

**— მას შემდეგ, რაც ჰერეთს ახალი მღვდელმსახური ჰყავს, არის თუ არა სხვა დაბრკოლებები, ან პრობლემები?**

— გახსოვთ, რომ წელიწადზე მეტია, ჰერეთში ახალი მღვდელმსახური გაიგზავნა. რადგან, იქ მოქმედი კანონის თანახმად, რელიგიური რიტუალების ჩატარება ეკრძალება ისეთ ადამიანს, რომელიც აზერბაიჯანის მოქალაქე არ არის, არქიმანდრიტ დემეტრე თეთრუაშვილს მოქალაქეობა მოსთხოვეს, ამიტომაც მან ვეღარ შეძლო მსახურების გაგრძელება და სხვა სასულიერო პირის შერჩევა მოგვიხდა. ამჯერად დედოფლისწყაროდან გადავიყვანეთ დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი. მან აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიიღო და წელიწადზე მეტია, შეუფერხებლად მსახურობს ჰერეთში. მადლობა ღმერთს, ამჯერად ყველაფერი თავის ადგილას დადგა. მამა პეტრეს არანაირი დაბრკოლება არ ექმნება, ყოველ შაბათ-კვირას წირვა-ლოცვა ტარდება, დღესასწაულებიც ყოველთვის სათანადოდ აღინიშნება. მეც, მრევლსაც და სხვა სასულიერო პირებსაც დაუბრკოლებლად შეგვიძლია საზღვარი გადავკვეთოთ, ჰერეთში ჩავიდეთ და ღვთისმსახურება აღვავლინოთ“.

როგორც ცნობილია, ფაქტთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა საქართველოს საპატრიარქომ. საპატრიარქო აზერბაიჯანის ხელისუფლებას და სულიერ ლიდერს შეიხულ-ისლამალაჰშუქურფაშა-ზადეს მიმართავს, შეისწავლონ კახის რაიონში მდებარე ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში მომხდარი ფაქტი და შეწყდეს ქრისტიანული ეკლესიის მიმართ უდიერი დამოკიდებულება. განცხადება კატეგორიულია და ეს პრობლემები მთელი სიმწვავითაა ასახული.

შეგახსენებთ, რამდენიმე წლის წინ საქართველოს საპატრიარქო ჰერეთის ეპარქიის შექმნას ცდილობდა, თუმცა აზერბაიჯანულმა მხარემ პრობლემები შექმნა, რის შემდეგაც ილია მეორეს გადაწყვეტილების შეცვლა მოუწია. 2014 წლის 3 ივნისის წმინდა სინოდის სხდომაზე ქვეყნის საზღვრებს გარეთ ოთხი ეპარქიის ამოქმედების საკითხი გადაწყდა, გამოარჩიეს ეპისკოპოსებიც. ამერიკისა და კანადის ეპარქია; ბენილუქსის ქვეყნების ეპარქია; გერმანიისა და ავსტრიის ეპარქიები, ხოლო ჰერეთში, აზერბაიჯანში ეპისკოპოსად არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი დადგინდა. თუმცა იმხანად ეპისკოპოსად თეთრუაშვილის გარდა ყველა მათგანი აკურთხეს. მიზეზებზე ოფიციალურად არც საპატრიარქოს უსაუბრია, არც ეპარქიის წარმომადგენლებს და არც თავად არქიმანდრიტ დემეტრე თეთრუაშვილს, მაგრამ ყველა მხარე ადასტურებდა, რომ აზერბაიჯანი წინააღმდეგი იყო, რის გამოც საპატრიარქო ვითარების გამწვავებას მოერიდა და გადაწყვეტილება შეცვალა. იმხანად, ჰერეთის სამრევლო დედოფლისწყაროს ეპარქიას შეუერთეს და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია უწოდეს, რეზიდენცია კი დედოფლისწყაროში ამოქმედდა. არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი ჰერეთში მცირე ხანს კიდევ მოღვაწეობდა, თუმცა არაერთი დაბრკოლების შექმნის შემდეგ საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო. ის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებას ითხოვდა, თუმცა აზერბაიჯანი ორმაგ მოქალაქეობას არ ცნობს.



ამას გარდა, ხშირია მცდელობა, საინგილოში მდებარე ქრისტიანული ტაძრები ალბანურ ძეგლებად წარმოაჩინონ და ისტორიული ცნობები გააყალბონ. რამდენიმე ასეთი აბრა ჰერეთში უკვე დადგეს. საპატრიარქო ადასტურებს ინფორმაციას, რომ კიდევ ერთი, ზაქათალის რაიონში მდებარე უმოქმედო ტაძარი შეუფერებელ მდგომარეობაშია, რადგან კარი არ აქვს, ტუალეტად იყენებენ და საქონელი შედის. ასევე, ტელევიზიის მიერ გადაღებულ სკანდალურ ფილმში გუმბათზე და კედელზე ცოცვისას ჩანს რომ ძეგლს შლიან და კედლიდან ქვები ცვივა.

გაჩუქებულ მიწაზე მცხოვრები ქართველები წუხან იმაზეც, რომ ჰერეთში გადასვლისას ხატებისა და ქართული წიგნების გადატანას აზერბაიჯანელი მესაზღვრეები კრძალავენ: „აბა სცადეთ და ხატები, ან ქართულენოვანი წიგნები საზღვარზე გადმოიტანეთ, ცხადია, პრობლემები შეგექმნებათ. ამავე მიზეზით, მრავალი წელია ჰერეთის ქართულენოვანი სკოლები მოძველებული წიგნებით სწავლობენ. წიგნების განახლება ვერ ხერხდება. სამაგიეროდ მარნეულსა და ზოგადად ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს თავისი სახელმწიფო ახალახალი წიგნებით ყოველწლიურად ამარაგებს და ქართული მხარე ამაში დაბრკოლებას არ ქმნის. როგორც ჩანს ძმობა ცალმხრივია. სკოლა რამდენიმე წლის წინ დავამთავრე და მახსოვს, რომ ისეთი წიგნი არასოდეს მქონია, რომელსაც ათეულობით ფურცელი არ აკლდა. თავის დროზე, როცა უკანასკნელად ჰერეთში ქართული წიგნები შეიტანეს, აღმოჩნდა, რომ დანიშნულების ადგილამდე სრულად არ მისულა და ბევრს დააკლდა. მტკიცებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ წიგნების განაწილებას ვიღაცამ ხელი შეგნებულად შეუშალა. სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფოს მხრიდან არ ჩანს ინტერესი, სურვილი და პრინციპი, რომ ჰერებს ენის შენარჩუნების საქმეში დაეხმარონ და ლიტერატურით მოამარაგონ,“ — აცხადებს ადგილობრივი ნიკოლოზ ყიყიშვილი.

ჰერები აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის უმოქმედობაზეც გამოხატავენ უკმაყოფილებას და აღნიშნავენ, რომ მათი დიდი ნაწილისთვის ელჩის ვინაობა უცნობია, რადგან ის ჰერეთს მხოლოდ გიორგობაზე სტუმრობს, როცა სტუმრები საქართველოდან ჩადიან. სხვა შემთხვევაში ელჩსა და ჰერებს შორის კომუნიკაცია არ არსებობს. არადა, ჰერები ყველაფერ ქართულს მონატრებული არიან და ჩვენგან მეტ ყურადღებას ითხოვენ.

ჰერების გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უფლებადამცველების პროტესტი ამჯერად არ ისმის. არადა, როცა საქმე მუსლიმების პრობლემებს ეხება, ისინი გამუდმებით აქტიურობენ. მიუხედავად იმისა, რომ ჰერეთში ქართველ ქრისტიანებს რელიგიურ ნიადაგზე პრობლემები ინტენსიურად ექმნებათ, მესამე სექტორის მხარდამჭერი არც განცხადებები ისმის და არც ქმედებები ჩანს.

ილია მარტყოფლიშვილი

# გამოსაშვები ზეიმი ბაღში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი ქ. დედოფლისწყაროს N1 საბავშვო ბაგა-ბაღში გამოსაშვებ ზეიმს დაესწრნენ.



ღონისძიებაზე პატარებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორი წარმოადგინეს და სტუმრებს გული პატრიოტული ლირიკითაც გაუთბეს. განსაკუთრებით ემოციური იყო ჯგუფის აღმზრდელის, დალი მაძღარაშვილის მიერ ამ პატარებისთვის უკანასკნელად შესრულებული „იავნანა“, რომელმაც დამსწრე საზოგადოება ააცრემლა.

დედოფლისწყაროს N1 საბავშვო ბაღი წელს ოცდაორმა აღსაზრდელმა დაამთავრა.

ღონიისძიების დაწყებამდე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელთან, მაია ხუმარაშვილთან ერთად დაწესებულებულების სხვა ჯგუფებსაც ეწვივნენ და არსებულ პირობებს პირადად გაეცნენ. აღინიშნა, რომ ბაგა-ბაღში სარემონტო სამუშაოები 2014-2015 წლებში ეტაპობრივად ჩატარდა და მისი დღევანდელი პირობები დაწესებულ სტანდარტებს შეესაბამება.



# მთავარია, შრომა არ გეზარებოდეს

ფერმერებთან ერთ–ერთი საუბრის დროს გავიგე, რომ გურამ მოლაშვილს თავისი ნაკვეთის გასწვრივ, თითქმის 500 მეტრზე, ქარსაფარი ზოლი გაუშენებია. ძალიან მომეწონა იდეა და დავუკავშირდი მას. გურამმა დამიდასტურა. შევთანხმდით, რომ წავიდოდით მინდორში და დავათვალიერებდით, თუ რა გაკეთდა. და აი, ჩვენ შირაქისკენ მიმავალ გზას მივუყვებით. ჩვენი საუბრის ძირითადი თემა ქარსაფარი ზოლებია, რომელიც 25 წელია, მხოლოდ ნადგურდება. თუ არ ჩავთვლით გერმანულ პროექტებს, რომლის წყალობითაც გაშენდა ზოლები და კვორომები, მაგრამ ისევ ჩვენი დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით ცეცხლს გავატანეთ მილიონობით ლარის, თუ არა დოლარის, ღირებულების ნაშრომ-ნაჯაფარი. ყოველწლიურად ხვნის დაწყების წინ, ვიღაცა, დაუდგენელი პირი, ყოველგვარი პრევენციული ზომების გარეშე, რაც გულისხმობს გადაწვის წინ ნაკვეთების შემოხვნას, ცეცხლს წაუკიდებს თავის ნაკვეთში ნამჯას, არც დაელოდება, მიატოვებს და მერე იწვის და იბუგება მთელი შირაქი, ცეცხლის ალში ეხვევა არა მხოლოდ ნამჯობები, არამედ, გამხმარი ბალახის საშუალებით, გადადის ქარსაფარ ზოლებში და ისედაც შირაქში უკანონოდ განთავსებულ ფერმებში მცხოვრები მწყემსების მიერ საშეშედ გაჩეხილ-გავერანებულ და გამეჩხერებულ ძველ ქარსაფრებს თუ ახლადგაშენებულ ნერგებს ანადგურებს. ამაზე ყველა „წუხს“- დიდი თუ პატარა მიწის მესაკუთრე, მთავრობა, სახანძრო-სამაშველო სამსახური, რომელიც ასობით ჰექტარ ფართობზე გაჩენილ ცეცხლს დღე და ღამ ებრძვის ხან რამდენიმე დღის განმავლობაში. იმ „ვიღაცის“ დადგენა კი შეუძლებელი ხდება, თვითმხილველი და მომჩივანი არავინ არსებობს. ასეა თითქმის ყოველწლიურად. ამ ფონზე გურამ მოლაშვილის მიერ ქარსაფარის გაშენება, მართლაც რომ მისასალმებელი და, თითქმის, უპრეცედენტოა.

-სწორედ ამ გარემოებამ მიბიძგა, საპირისპირო ნაბიჯი გადამედგა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მიერ ჩარგული ხეხილი მომიჯნავის ნაკვეთს უფრო წაადგება, ვიდრე ჩემსას, რადგან ჩვენში დასავლეთის ქარები უფრო მძლავრობს, ვიდრე აღმოსავლეთის, ეს ქარსაფარი ჩემს ნაკვეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება, 250-მდე ნაყოფის მომცემი ნერგი დავრგე. აქ არის ალუბლები, ქლიავი, ჭერამი, ტყემალი და კაკალი, რომელიც თესლით მე თვითონ გამოვიყვანე და ძალიან მიხარია, რომ უმრავლესობამ გაიხარა. მთლიანობაში 70-80 % ხეხილისა გახარებულია. (დაუკვირდით ამ სიტყვის მნიშვნელობას- „გახარებულია“, ანუ უხარია, რომ სიცოცხლე გააგრძელა. მეც ახლა ჩავუღრმავდი ამ სიტყვის აზრს).

**-ბატონო გურამ, სად შეიძინეთ ამდენი ნერგი?**

-არა, არ მიყიდია, ჩემს ბაღჩაში, მეგობრების და მეზობლების ბაღჩებში რაც კი ამონაყარი იყო, სულ მოვთხარე და იქ გადავრგე. ვნახოთ, შემოდგომაზე შეიძლება აკაციაც ჩავთესო, ოღონდ სხვა ფართობზე, რადგან აკაციამ ბევრი ამონაყარი და გამრავლება იცის, ამ ფართობზე აღარ გამოდგება. მე არ ვამბობ, რომ გმირი ვარ, არა, ამის გაკეთება თითოეულ მიწის მესაკუთრეს შეუძლია, უბრალოდ, უნდა მოინდომოს. მე ხომ მახსოვს, როგორ იყო მწვანე ზოლებით დაკვადრატებული მთელი შირაქი, სასიამოვნო იყო სანახავად და უფრო მეტად სასარგებლო. ქარსაფარი ზოლი დიდ როლს ასრულებდა მოსავლიანობის გაზრდის თვალსაზრისით: - ის აკავებდა ქარებს, ინარჩუნებდა სინესტეს. აი, წელს როგორ დაზარალდა ხალხი, დიდი ფართობები დაიქარა. მადლობა ღმერთს, კარგი გაზაფხული იყო და წვიმებზე ნათესები გამოკეთდა, თორემ ძალიან იყო დაქარული.



მივუყვებით შირაქის გზას და უკვე შეყვითლებულ ყანებს ვაკვირდებით. უმრავლესობა კარგია, ვინც მოუარა, თავის დროზე სასუქი და ჰერბიციდი არ დააკლო, საუკეთესოა. ზოგადად, წელსაც ნორმალურ მოსავალს მოელიან მიწის მეპატრონეები. ამასობაში გურამის ნაკვეთსაც მივადექით. აბალახებულაო, შეწუხდა, კულტივატორს გავატარებო. მწკრივში ჩარგული ნერგები „ყოჩაღად“ გამოიყურებიან. გამორჩეულად კაკლის ნერგებს ეფერება. ჩემი ხელით გამოვიყვანეო. მართლაც რომ, საშვილიშვილო საქმეა და არცთუ ძნელი და მიუწვდომელი. სასურველია, თუ მას მიმდევრები გამოუჩნდებიან. პატრიარქიც ხომ ამას მოგვიწოდებს-წელიწადში ერთი ხე დარგეთო. ჰოდა, ჩვენც ვაკეთოთ ჩვენთვის სასარგებლო და სასიკეთო საქმე. კმაყოფილებმა დავტოვეთ შირაქი. უკანგზობისას, უბრალოდ, ინტერესისთვის, გურამს ვკითხე, რომელწლიანი ხარ-მეთქი. ორმოცდაშვიდიანიო-მიპასუხა, ახლა, 25 ივნისს 70 წლის ვხდებიო. გამიხარდა, ამ მადლიან საქმესთან ერთად იუბილარიც ყოფილხარ-მეთქი. მერე გზადაგზა ცოტა თავის თავზეც მოვაყოლე და გავარკვიე, რომ დაიბადა ქალაქ წითელწყაროში, დღევანდელ დედოფლისწყაროში ინტელიგენტების ოჯახში. მამა ვანო მოლაშვილი ომგამოვლილი, ცნობილი პედაგოგი იყო. ქიმია-ბიოლოგიის სპეციალისტი, მრავალ საბუნებისმეტყველო საგანს ასწავლიდა სკოლაში. სწორედ მისი ზედმეტსახელიდან გამომდინარეა, დღეს გურამს ყველა რომ „მუთოვიჩს“ ეძახის და არც სწყინს, პირიქით, ეს ყველაფერი მის მამასთან ასოცირდება, რომელიც რაიონში ერთ-ერთი ცნობილი და დაფასებული პიროვნება იყო. დედა თინა ლაპიაშვილი ბუღალტერი გახლდათ და სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობდა. თვითონ გურამი სპეციალობით მშენებელია. მან სამშენებლო ტექნიკუმი დაამთავრა და წლების განმავლობაში მუშაობდა სოფელ წითელწყაროს კოლმეურნეობაში, კარიერში, რომელსაც მაშინ რუსთავის საფლუსე კირქვების მაღაროთა სამმართველო ერქვა, მრავალი წელი საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოში საქმის მწარმოებელი იყო. მერე კი, როცა საბჭოთა ორგანიზაციები დაიშალა და ფუნქციონირება შეწყვიტა, არ დაბნეულა, მიხვდა, რომ კერძო საკუთრების დრო მოვიდა, შეიძინა ტრაქტორი თავისი მისაბმელებით და მას მერე, აგერ 25 წელია, მთელს რაიონს ემსახურება- ფარცხავს, თესავს, აკულტივაციებს, პრესავს და თავის საქმეს პირნათლად ასრულებს. მის მომდურავ კაცს ვერ იპოვით რაიონში, მის მიერ შესრულებული სამუშაო ხარისხიანია და კონტროლს არ საჭიროებს. მთელი სახნავ-სათესი ფართობები ხელისგულივით იცის, სად ვისი ნაკვეთია, სწავლება არ სჭირდება. ამიტომ ენდობიან, იციან, უღალატო კაცია და მარტო შეკვეთის მიცემაც საკმარისია, ის საქმე უმაღლეს დონეზეა შესრულებული. თოთხმეტი წლიდან შრომაში ვარ ჩაბმული, ვიცი მისი ფასი და ამიტომ პატივს ვცემ სხვის შრომას, კაცს არ გავუმტყუნდები, არ ვუღალატებ, საქმეს არ გავუფუჭებ, ჩემი მიზეზით არ ვაზარალებ, შესრულებულ სამუშაოში რომ გასამრჯელოს ვილებ,უნდა ალალი იყოს ჩემზე, სიკეთეში მოიხმარეო, უნდა მითხრანო-ამბობს და ასეც არის.



- თუ ადამიანი მოინდომებს, საარსებო გზის გამონახვა ყოველთვის შეიძლება,მთავარია, არ გეზარებოდეს შრომა, კუდი ყავარზე არ უნდა გადო, არ უნდა ითაკილო პატიოსანი შრომა და მშიერი არ დარჩები. დღესდღეობით მე კმაყოფილი ვარ ჩემი საქმიანობით და შემოსავლითაც. ახლა ცოტა ასაკი მომემატა, ფიზიკურად იმდენი აღარ შემიძლია,დღე და ღამე შემეძლო მინდორში ვყოფილიყავი, ათასობით ჰექტარს ვამუშავებდი და სხვადასხვა ოპერაციებს ვაკეთებდი. ახლა იმაზე ვფიქრობ, სახლში ცოტა უფრო იოლი რამ მოვიფიქრო, ისეთი, რომ ისევ ადამიანების სამსახურში ვიდგე. კაცის დანიშნულებაც ხომ ეს არის-ერთმანეთს შევაშველოთ ხელი,- ამბობს გურამი და ეჭვიც არ მეპარება, სიცოცხლის ბოლომდე მას უშრომელად ვერავინ ნახავს. მეუღლეც მშრომელი შეხვდა. საქმის „მუჭუჭიაო“,- იცინის.

მარინა ბენაშვილი-მოლაშვილი ზემო მაჩხაანში დაიბადა.სიყრმის შვილს ორი და და ერთი ძმა დაემატა და მათ გაზრდაში მშობლებს ისე ეხმარებოდა, ცხოვრების ავან-ჩავანი და შრომის აუცილებლობა ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა. სპეციალობით ბუღალტერია, საბუღალტრო ტექნიკუმი დაამთავრა. გურამი ნათესავის რჩევით გაიცანი. დავახლოვდით, მოგვეწონა ერთმანეთი და ოჯახი შევქმენით. მისით ძალიან კმაყოფილი ვარ. ერთგული, მშრომელი, განათლებული და, რაც მთავარია,ჰუმანური ადამიანია. ის მთელი ოჯახის დიდი იმედიაო,-ამბობს ის. ქალბატონი მარინა ათეული წლები დედოფლისწყაროს კულტურის განყოფილებაში ბუღალტრად მუშაობდა და თანამშრომლების სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა მუდამ. მერე ერთადერთი ვაჟი-პაპის მოსახელე ვანო დაოჯახდა, გაჩნდნენ შვილიშვილები და მარინამაც შვილიშვილის გაზრდის „სამსახურში“ გადაინაცვლა. მარიამი და ანა პაპა-ბებიის ის სანთლები არიან, რომელსაც საიდანაც ქარი დაუბერავს, იქიდან ეფარებიან. თუმცა, ცხოვრებაში ყოველთვის ყველაფერი ისე არ არის, როგორც გვინდა... ვანომ ახალი ოჯახი შექმნა.-ეკა კარგი გოგოაო,-ამბობს მარინა,- მთავარია თვითონ შეხამტკბილებულად იცხოვრონ და ჩვენ მცდელობას არ დავაკლებთ, ხელი შევუწყოთო.

ბოლოს კი ისევ იუბილარს და ჩვენი წერილის მთავარ გმირს მივუბრუნდეთ:- **ბატონო გურამ, გილოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ, იყავ ბედნიერი და მრავალი სასიკეთო საქმე გეკეთებინოთ კვლავაც.**

ნაირა გორაშვილი

## ულოცავენ!

### გურამ მოლაშვილს!

ჩვენს უსაყვარლეს დეიდაშვილს, საოცარი შინაგანი ღირსებებით დაჯილდოვებულ პიროვნებას, არაჩვეულებრივ მეოჯახეს, შვილიშვილებისთვის თავდადებულ პაპას, თავისი საქმის უბადლო მცოდნეს და პროფესიონალს, ყველასათვის ძვირფას მეგობარს გურამ მოლაშვილს ვულოცავთ დაბადების 70 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას. უფალმა დალოცოს და გააძლიეროს მისი ოჯახი.

**სიყვარულით**

**დეიდაშვილები:** მეგი ნანობაშვილი, გივი კაცაძე ოჯახით.




## 1965 წლის ივნისი

○ წითელწყაროსა და სოფელ ჯაფარიძის ახალგაზრდობა ზაფხულის ცხელ დღეებში საბანაოდ ჯაფარიძის მახლობელ ტბას მიაშურებს ხოლმე, მაგრამ ბევრმა მათგანმა ცურვა არ იცის და მოსალოდნელია უბედური შემთხვევა. საჭიროა, ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა შექმნას ცურვის სექცია და დააკომპლექტოს მცოდნე ამხანაგებით. მათ უნდა შეასწავლონ ცურვა ახალგაზრდებს და მეთვალყურეობა გაუწიონ მობანავეებს.

○ სოფელ წითელწყაროს კომუნალურ ბინებში მცხოვრებნი თინა აკოფოვა და ივლიტა გვენეტაძე ხულიგნური მოქმედებებით არღვევენ წესრიგს. ამასწინათ, გზაზე ერთმანეთს შეხვდნენ და ერთმანეთს ცემა გინება დაუწყეს. ეს უკვე მერამდენედ განმეორდა. სახალხო სასამართლომ გაარჩია საქმე და ორივეს სამსამი წლით პირობითი სასჯელი მიუსაჯა.

○ არბოშიკის სკოლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ახალი სასწავლო წლისთვის მიიღეს ახალი მერხები და ლაბორატორიისთვის ხელსაწყოები. ბეტონის ღობე აშენდა ეზოში. შეკეთდა კარ ფანჯრებიც. ახლა წარმოებს გარე კედლების შელესვა და დაზიანებული იატაკის შეცვლა. მაგრამ ექვსი კაცის ნაცვლად ორი მუშაობს და ისინიც ყოველდღიურად წითელწყაროდან დაიარებიან. არ აქვთ საჭირო რაოდენობის ხის მასალა, სამღებრო მასალები და სხვა. ამის გამო ჭიანურდება სკოლის რემონტი.

○ ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი წითელწყარო. ჩნდება ახალი დასახლებული კვარტლები. სახე იცვალა წინათ მიყრუებულმა ელიას მთის მხარემ. აქ ხელოვნურად გაშენებულ ნაძვნარის ტყეში დამკვიდრდა მშრომელთა ჯანმრთელობის კერა. ამოქმედდა 150 ადგილიანი საავადმყოფო. სურათზე ხედავთ საავადმყოფოს მთავარ კორპუსს.



## 1966 წლის ივნისი

○ ზემო ქედის მცხოვრებლებმა, ხვთისო ლიქოკელმა და მამუკა არაბულმა მოინდომეს მდინარე ალაზნის ხიდზე მანქანით გასვლა და გაქცეოდნენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. ხიდზე საკარანტინო წესებს იცავდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციონერი თ. მწითური. მან განუმარტა, რომ გადასვლა არ შეიძლებოდა, რაზეც უცენზურო სიტყვებით შეეპასუხნენ და იარაღი მოსთხოვეს. იარაღის მუქარით ზაქათალას რაიონის კოლმეურნეობის მანქანა, რომელშიც ოთხი მოქალაქე იჯდა, ზემო ქედში წაიყვანეს. შემდეგ უკან დაბრუნდნენ, დალუქული ხიდი გატეხეს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადავიდნენ. წითელწყაროს სასამართლომ არაბულს 3 წლით, ლიქოკელს 2 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

○ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობაში ამერიკელი აგრესორების მისამართით პროტესტის ხალხმრავალი მიტინგი ჩატარდა. მათ დაგმეს ამერიკელების ვერაგული ქმედება ვიეტნამში.

○ ,,წითელწყაროელმა მონადირემ, მიხეილ მარკოვმა მდინარე ალაზანში პატარა თევზები დაიჭირა, წყლიან ბალონში მოათავსა და ჯაფარიძესთან მდებარე ტბაში გაუშვა. ტბის პირობები ძალიან კარგი აღმოჩნდა თევზისთვის და კარგად გამრავლდნენ. მრავალჯერ გაიჟღერა იდეამ, ამ ტბის გალამაზების თაობაზე. იმედია მალე გახდება კულტურული დასვენების კერა. ტბა ეკუთვნის ლეტნიკ-ჩანკაანის სამონადირეო აღკვეთილს, აღკვეთილში კი ნადირობა აკრძალულია,“ - წერს ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორი წითელწყაროში ი. მამაიაშვილი.

○ როსტოველმა ინჟინერმა ჩუევმა ტელევიზორის შავთეთრ კინესკოპზე მიიღო ფერადი გამოსახულება. სესიამ მას ურჩია, რომ განაგრძოს კვლევები, რათა უახლოეს ხანში გამოვიყენოთ ახალი ეფექტი, ტელევიზიით გადაიცეს ფერადი გამოსახულება.

○ ქვემო ქედის უნივერსალურ მაღაზიაში წყალი ჩამოდის, საფრთხე ემუქრება ათასობით მანეთის საქონელს. მაღაზიის წინა ნაწილი ალაგ-ალაგ ჩამონგრეულია. სოფლის კოოპერატივის გამგეობას არაერთხელ მივმართეთ, მაგრამ ამაოდ. რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ო. დათუკიშვილი რედაქციას ატყობინებს, რომ უახლოეს დროში გადამჭრელ ზომებს მიიღებენ.

○ ტარიბანის ჩირგვოვან ხეობაში თოფების ბათქა-ბუთქი ისმოდა, როცა ბრაკონიერებს ფაუნის მცველებმა წაასწრეს და წიგნაკები მოსთხოვეს. შედგა ოქმები და ჩამოერთვათ წიგნაკები. კითხვაზე, რატომ არღვევდნენ ნადირობის წესებს, თქვეს, რომ რეპეტიციას გადიოდნენ. ერთერთი მაღარიჩს გვპირდებოდა, ოქმებს თუ გააუქმებთო. მათ არც თბილისში მოუსვენიათ. ცილისმწამებლური ქაღალდები უწერიათ, აქაოდა ინსპექტორმა პისტოლეტს წაავლო ხელიო და სხვა მრავალი. მაგრამ, თბილისის მონკავშირის ამხანაგურ სასამართლოზე ბრაკონიერებს სათანადო სასჯელი მიუზღეს.

## 1977 წლის ივნისი

○ საბათლოელი მშრომლები ამჯერად გაეცნენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, მათ მხურვალედ მოიწონეს და აღფრთოვანებულებმა ახალი ძალით შეუტიეს დასახულ ამოცანებს და მიზნებს. მათ პირობა დადეს, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს შრომითი გამარჯვებით შეხვდებიან.

○ ,,ღამით პუნქტ ,,დილიჩიდან“ ძლიერი ელექტროჭექის შედეგად სარაკეტო დანადგარიდან თვითნებურად გავარდა 20 ცალი სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტა. ჭურვი დახურული იყო სპეციალური მილებით, ამიტომ ზოგი მათგანი არ აფეთქდებოდა და დედამიწაზე დაეცემოდა. მიახლოებით დილიჩის და შირაქის ტერიტორიაზე. ჩვენი მუშაკები აწარმოებენ ძებნას. ვთხოვთ ყველას, აღმოჩენისას არ მივიდნენ ახლოს,“ — იტყობინება სეტყვასთან ბრძოლის სამსახური, ქოჩები, ,,ობლაკო“.

○ საქართველოს ყველა სოფელში, მათ შორის ჩვენი რაიონის ყველა სოფელში დასრულდა, ან დასასრულს უახლოვდება შინმოუსვლელთა სადიდებელი ობელისკები. ამ მხრივ რატომღაც ერთადერთი გამონაკლისია ცენტრი, ქალაქი წითელწყარო. არადა წითელწყაროელებს სურთ სულ მალე მათი შვილებისა და ოჯახის წევრების უკვდავსაყოფად აღიმართოს ობელისკი, სადაც მათ საშუალება ექნებათ მოწიწებითა და დიდი სიყვარულით სცენ პატივი.

## 1985 წლის ივნისი

○ ,,ახლახან წითელწყაროს სავაჭრო ცენტრის წინ თავისი კუთვნილი მანქანა გააჩერა რუსთავის მცხოვრებმა ვალერი პაპუაშვილმა, რომელიც მშობლებთან ჩამოვიდა. მაღაზიიდან გამოსვლის შემდეგ შეუნიშნავს რომ მანქანაში დევს 37 მანეთამდე ღირებულების მამაკაცის ტანსაცმელი. როგორც ჩანს მანქანა აერიათ. მან უცხო ტანსაცმელი სავაჭრო ცენტრში დატოვა. ვისაც ეკუთვნის, შეუძლია მიაკითხოს,“ — წერს სავაჭრო ცენტრის ფეხსაცმლის სექციის გამგე ლენა ქადაგიძე.

○ ,,ახლახან წითელწყაროს შეემატა ავტოსადგურის ახალი შენობა, რომელმაც გაალამაზა ქალაქი. რკინიგზის სადგურის შენობას, ავტოსადგურის მხარეს აქვს წარწერა: ,,წითელი წყარო“. ვინ იცის, რამდენს შეუხედავს და უთქვამს, ნუთუ არ შეიძლება ამის გამოსწორებაო? განა შეიძლება ქალაქის სახელწოდება დამახინჯებულად ეწეროს?“

○ ელევატორის მუშათა სასადილოს შეკეთება ესაჭიროება. ელევატორის დირექტორი რობერტ ნატროშვილი რედაქციას ატყობინებს, რომ საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს წინაშე დაყენებულია საკითხი ახალი შენობის მშენებლობისთვის. მიღებულია ზომები ჭურჭლის სარეცხი აბაზანის ხუთი ერთეულის შეძენის შესახებ. კეთდება კანალიზაცია და შეთეთრდა კედლები.

## 1988 წლის ივნისი



○ ყოფილხართ წითელწყაროს ცენტრში, ბარათაშვილის ქუჩაზე? ნახავდით ლამაზ, ცისფრად შეღებილ ხუთსართულიან ახალ შენობას. ის მელიორაციის სამმართველომ თავიანთი თანამშრომლებისთვის ააშენა. მშენებლებმა გელა ხუციშვილის მეთაურობით ერთი ხელის დაკვრით წამოჭიმეს ეს ვეებერთელა კორპუსი. სამუშაოთა მწარმოებელ დათო ფხოველიშვილისთვის კი ეს პირველიშენობაა, რომელიც მისი ხელმძღვანელობით აშენდა. გამოცდა კარგად ჩააბარა, რაზეც მეტყველებს გარე იერსახე და შიდა კეთილმოწყობა

(სტილი დაცულია.)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# თამაზ (ჭერემა) ლაზვიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად



მიმდინარე წლის 15 ივნისს სოფელ ზემო ქედში ჩატარდა რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც მიეძღვნა წარსულში ცნობილი მოჭიდავის ქართულ, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობებში რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებულ „სპორტის ოსტატი“ თამაზ (ჭერემა) ლაზვიაშვილის ხსოვნას.

შეჯიბრი გახსნა და თამაზ ლაზვიაშვილის მიღწევებზე ილაპარაკა ზემო ქედის სკოლის ყოფილმა დირექტორმა ნიკოლოზ წიკლაურმა. სიტყვით გამოვიდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი.

შეჯიბრი ჩაატარა კახეთის გუბერნიის ქართული ჭიდაობის ფედერაციამ (პრეზიდენტი გურამ სამხარაძე) . დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის, საკრებულოს თავმჯდომარის ნუგზარ პაპიაშვილის და სპორტის სამსახურის უფროსის ავთანდილ ხუმარაშვილიოს გვერდზე დგომით და დაფინანსებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი გუნდური ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის (ძირითადად ქედელებით იყო დაკომპლექტებული) გუნდმა, მწვრთნელი კახა წიკლაური.

გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ საპატიო სიგელები და სათანადო ხარისხის მედლები.

გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი გადასცა თამაზ ლაზვიაშვილის შვილიშვილმა ორი წლის ანა ლაზვიაშვილმა.

შეჯიბრზე დაწესებული იყო სხვადასხვა დროს გამოჩენილი მოჭიდავეების სახელობის პრიზები:

ვანო ჩოხელის, შალვა ლალიაშვილის, ლავრენტ ღუდუშაურის და თამაზ ლაზვიაშვილის ოჯახის მიერ დაწესებული პრიზი ყველაზე პერსპექტიული მოჭიდავისათვის, რომელიც დაიმსახურა არხილოსკალოელმა მოჭიდავემ გიორგი არაბულმა.

აღნიშნული ღონისძიების სულის ჩამდგმელი იყო ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, მილიციის გენერალ-მაიორი, ჩვენი რაიონის მკვიდრი თამაზ თამაზაშვილი, მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩაიარა ამ მეტად ლამაზმა შეჯიბრმა.

აღნიშნული შეჯიბრის საპატიო სტუმრები იყვნენ:

გურამ სამხარაძე-კახეთის გუბერნიის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი; თამაზ ლაზვიაშვილის თანაკლასელები გლდანის სპორტული სკოლიდან;იოსებ ბერიშვილი- მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი კლასიკურ ჭიდაობაში; ამირან აფრიამაშვილი-საქართველოს რესპუბლიკის სპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე; გაბრიელ ბარჯაძე-საქართველოს რესპუბლიკის ჭიდაობა სამბოს ფედერაციის გენერალური მდივანი; მიხეილ ჩიტაური- მძლეოსნობაში რესპუბლიკურ პირველობებზე მრავალჯერ გამარჯვებული; ნუგზარ პაპიაშვილი-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;ნიკოლოზ ჯანიაშვილი-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი;ბეჟან სუხაშვილი-ზემო ქედის გამგებელი;ავთანდილ ხუმარაშვილი-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურის უფროსი; გივი ლაზვიაშვილი-საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ჯიმშერ მუმლაძე-საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ვაჟა ბერიშვილი-საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ილია გაგაძე-რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელი; ლადო დიდებაშვილი-პედაგოგი, სპორტის ოსტატი, მრავალი გენერლის და პოლკოვნიკის აღმზრდელი; უშანგი ჩოხელი- საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, ჭიდაობის უბადლო ოსტატი; თამაზ ლაზვიაშვილის ოჯახი(მეუღლე, შვილები, შვილიშვილი).

შეჯიბრის დამთავრების შემდეგ დამსწრე სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს თამაზ ლაზვიაშვილის საფლავი.

და ბოლოს, დაბადების დღის აღსანიშნავად, თამაზის ოჯახში გაიმართა ბანკეტი, სადაც მრავალი მოსაგონებელი და მოსაფერებელი სიტყვა წარმოითქვა.

აღნიშნული ღონისძიების სპონსორები იყვნენ: შოთა მნათობიშვილი-ყოფილი ფეხბურთელი, ბიზნესმენი ნიკუშა ბენიაიძე-მსოფლიო და ევროპის პირველობებში მონაწილე და პრიზიორი ჭიდაობა „ძიუდოში“; ნუგზარ გონაშვილი -ბიზნესმენი; ვანო ნატროშვილი(ვანო ექიმი) ყველასთვის საყვარელი პიროვნება; ელგუჯა თეთვაძე-სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორი, ამ ღონისძიების ორგანიზატორი; ვახო ყველაიძე-ბიზნესმენი, სანდრო ლაზვიაშვილი, თამაზ ლაზვიაშვილის ძმა.

**მეგობრების ჯგუფის სახელით,**
ელგუჯა თეთვაძე.

---

მეზობლები: დათო რობიტაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, გია გონაშვილი, სოსო გოგაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, მზია ბარბაქაძე, ომარ ალადაშვილი, მარიკა გონაშვილი, ბერდო ნასრაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, თამაზ ჯიბღაშვილი, მარინე კაკალაშვილი, გია ჯერვალიძე, ნორა სულაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ლილის, გულიკოს, ნონას, გიორგის, დავითს, თამთას, დავითს და ბარბარეს მეუღლის, მამის და პაპის

გურამ ნიკოაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

**მონატრება**

## თამაზ მაძღარაშვილი



როცა სიკვდილის ცივი სხივი შემომაშუქებს, ვიცი, ვერავინ ველარ შეძლებს გამოსარჩლებას, მაგრამ წასვლამდე ჩემს სიცოცხლეს ლექსებს ვაჩუქებ და ეს სტრიქონი უკვდავების ძეგლად დარჩება. ჩვენო თბილო, კეთილო, დიდი სულისა და გულის მატარებელო, ჩვენო ძვირფასო თამაზ, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალება – გამაოგნებელი, მოუშუშებელი ტკივილებით სავსე. უკვე 17 წელია, დედაშენი შენს გზას გამოსტირის და შენთან შეხვედრას ნატრობს. შენ მუდამ ცოცხლობ ჩვენს გულებში.

შენი მონატრებული ოჯახი.

# ისევ ბავშვობას ვინატრებდით

50 წელი გვაშორებს იმ დღეს, როცა დამთავრდა ჩვენი წრფელი და უანგარო ბავშვობა. ერთი ბუდიდან ავფრინდით გულუბრყვილო ბარტყები და მოვშორდით მშობლიურ ფესვებს. ნახევარი საუკუნის მანძილზე ვილწვოდით, ხან ვიმარჯვებდით, ხან ვმარცხდებოდით, მაგრამ როცა უკან მოვიხედეთ, კვლავ ბავშვობის სანუკვარი დღეების განმეორება ვინატრეთ. დრო კი უმოწყალოდ სწრაფად მიფრინავს. უკან დარჩა ბავშვობა. თითქოს მეტი სიკეთის დათესვა გინდა, მაგრამ... სამწუხაროდ ჩვენს გვერდით უკვე აღარ არიან ბავშვობის მეგობრები, რომლებმაც კარგად იცოდნენ სიცოცხლის, სიყვარულისა და მეგობრობის ფასი. აღარ არიან საყვარელი მშობლები და პედაგოგები, რომელთა ამაგი ფასდაუდებელია ყოველი ჩენთაგანისათვის. წუთისოფელი ასეა... ხდება თაობათა ცვლა.

სოცოცხლე გრძელდება... კვლავაც ვილვაწოთ სიკეთის, სიყვარულისა და ქვეყნის წარმატებისთვის.

სკოლის დამთავრების 50 წლისთავს გილოცავთ 1967 წლის კურსდამთავრებულებო, დიდხანს იცოცხლეთ, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

უფალო, ნათელში დაუმკვიდრე სასუფეველი მათ სულებს, ვინც დღეს ჩვენს შორის აღარ არიან: **მურად (ნუგზარ) ხარაშვილს, ალექსი ჭინჭარაულს, დავით ნატროშვილს, ნოდარ ქურციკიშვილს, ჯუმბერ კობიაშვილს, დავით ზურიკაშვილს, გაიოზ ბექაურს.**

წმინდა სანთლითა და ცრემლით მუდამ გაგიხსენებთ ჩვენს გვერდით. ცხოვრება კი თავის გზით მიდის. წელსაც მრავალმა ბავშვმა გამოიხურა სკოლის კარი, ვულოცავთ ყველა კურსდამთავრებულ ახალგაზრდას სკოლისა და ბავშვობის დამთავრებას. ვუსურვებთ საუკეთესო და ღირსეული სიჭაბუკის წლებს. საქართველოს თქვენი იმედი აქვს.

**პატივისცემით, N1 საჯარო სკოლის 1967 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები:** ნელი შოშიაშვილი, თენგიზ ჭუჭულაშვილი, ლეილა ჯამასპიშვილი, ლემნაზი სულაშვილი.



# შირაქის ქარსაცავ ზოლში ნერგები დაირგო

17 ივნისი გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ოფიციალურად გაუდაბნოებასა და გვალვასთან ბრძოლის საეთაშორისო დღედაა გამოცხადებული. ამ მნიშვნელოვან თარიღს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი REC გამოეხმაურა- მისი ორგანიზებით დღეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, შირაქის ქარსაცავი ზოლის დეგრადირებულ მონაკვეთში საპნის, საკმლის, თრიმლისა და აკაკის ნერგები დაირგო. აქციას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კახეთის გუბერნიის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლებისა და გერმაანიის საერთაშორისო საზოგადოება GIZ-ის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

გერმაანიის საერთაშორისო საზოგადოების დედოფლისწყაროს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ამირან კოდიაშვილის განცხადებით, ნერგების მოვლა-პატრონობის ვალდებულებას GIZ აიღებს.

დღეს შირაქის ქარსაცავ ზოლში სულ ასი ერთეული სხვადასხვა ჯიშის ხე დაირგო.





## ულოცავენ!

### ნინო იაკობიშვილ- ბიძინაშვილს!

ჩვენო საყვარელო ნინო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**დედა** ნანული ღვინიაშვილი, **ძმა** გოჩა იაკობიშვილი, **ძმისშვილები** ზაური და თამუნა, **შვილები**: ლალი და ეთო ბიძინაშვილები, **მეუღლე** სპირიდონ ბიძინაშვილი.

## იყიდება!

იყიდება სამოთახიანი ბინა ორი აივნით, ავეჯით, გამათბობელით და წყლის გამაცხელებლით. ჰერეთის ქუჩა N2-ა, კორპუსი 46.
ფასი შეთანხმებით.
☎ 595 300 771

# ახალი საწარმო დედოფლისწყაროში

საქართველოში დედოფლისწყაროს რაიონი ყოველთვის გამოირჩეოდა ხორბლისა და ქერის რეკორდული მოსავალით, რასაც, ხელს კლიმატურ პირობებთან ერთად, სწორად შერჩეული სათესლე მასალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უწყობდა ხელს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენს რაიონში ყოფილი „ზაგოზერნოს" ბაზაზე ახალშექმნილი კომპანია „ამბარი".

კომპანია „ამბარი" დედოფლისწყაროს რაიონში ფლობს მიწებს, სადაც მოჰყავს უმაღლესი ხარისხის მარცვლეული. საკუთარ მიწაზე მოყვანილ მარცვლეულთან ერთად კომპანია იბარებს და ამუშავებს ქართველი ფერმერების მიერ წარმოებულ ადგილობრივ ნედლეულს, რითაც ხელს უწყობს საქართველოში მარცვლეულის წარმოების განვითარებას.

მარცვლეულის გადამუშავება და შენახვა საკვანძო საკითხია კომპანიის საქმიანობაში. სწორედ ამიტომ „კომპანიის" გამოცდილმა და კვალიფიციურმა კადრებმა ააშენეს თანამედროვე საშრობი და საწყობი კომპლექსი. შპს „ამბარის" საშრობი და მარცვლეულის შესანახი კომპლექსი მოიცავს მარცვლეულის მიმღებს, სარჩევს, საშრობს და ვენტილაციის სისტემით აღჭურვილ მარცვლეულის შესანახ სილოსებს, სადაც ხდება მარცვლეულის ხანგრძლივი დროით შენახვა.

მნიშვნელოვანია, რომ მიღებამდე მარცვლეული მოწმდება ლაბორატორიულად და დგინდება მისი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები, ტენიანობა, საერთო დაბინძურების დონე, მავნე დაავადებებისა და სოკოვანი ორგანიზმების არსებობა. მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდეგ, თუ მარცვლეული აკმაყოფილებს კომპანიის მიერ შემუშავებულ ხარისხობრივ სტანდარტებს, ხდება ნედლეულის მიღება და დამუშავება.

„ამბარი" საშუალებას აძლევს მწარმოებელს თავიდან აიცილოს მარცვლეულის შენახვის პერიოდში დანაკარგი (მავნებლებით, სოკოვანი ორგანიზმებით, მარცვალში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების გააქტიურებით გამოწვეული) და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით შეინახოს ნედლეული ხანგრძლივი დროის განმავლობაში.


შპს "ამბარი"
ვიბარებთ ხორბალს





## ამინდი დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 26.06 | | სამშაბათი 27.06 | | ოთხშაბათი 28.06 | | ხუთშაბათი 29.06 | | პარასკევი 30.06 | | შაბათი 01.07 | | კვირა 02.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 21 ° | 20 ° | 22 ° | 22 ° | 24 ° | 22 ° | 22 ° | 20 ° | 21 ° | 20 ° | 23 ° | 22 ° | 24 ° | 23 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.